5	კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არაა სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდულია წყაროები, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არა ერთი წყარო და ანალიზიც სიღრმისეულია
6	თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოების კავშირი შინა-არსთან არის, მაგრამ ერთფერო-ვანია, გამოიყენება მოდი-ებული და ჯგუფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
კვლევის მიზნის განსაზღვრა	არასწორად აყალიბებს მიზანს	ნაწილობრივ სწორად აყალიბებს მიზანს	აყალიბებს მიზანს	სრულყოფილად აყალიბებს მიზანს

საჭირო ინვენტარის განსაზღვრა	არასწორად ჩამოთვლის საჭირო მასალას	ჩამოთვლის საჭირო მასალის ნაწილს	ჩამოთვლის ძირითადად საჭირო მასალას	ჩამოთვლის ყველა საჭირო მასალას და აღჭურვილობას
კვლევის შედეგების ვარაუდი	არასწორად აყალიბებს ვარაუდს	გამოთქვამს სწორ ვარაუდს	აყალიბებს და ნაწილობრივ ასაბუთებს თავის ვარაუდს	აყალიბებს და ასაბუთებს ვარაუდს
კვლევის მიმდინარეობის აღწერა	არასწორად ჩამოთვლის კვლევის ეტაპებს	ჩამოთვლის კვლევის ზოგიერთ ეტაპს	ჩამოთვლის კვლევის ძირითად ეტაპებს	სრულად ჩამოთვლის ეტაპებს
მონაცემების აღრიცხვა	აღრიცხავს არასწორ მონაცემებს	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს სრულად და სისტემურად
მონაცემთა ანალიზი	არასწორად აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა ანალიზს მცირე ხარვეზებით	აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა სრულ ანალიზს
დასკვნა	არასწორად აკეთებს შესაბამის ანალიზს	აკეთებს ნაწილობრივ სწორ დასკვნებს	აკეთებს ძირითადად დასკვნებს	აკეთებს სრულფასოვან დასკვნას

## 2.2 პროექტის შეფასების სქემა

### ნიმუში # 3

#### 3.1. რეფერატის შეფასების სქემა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა

1

1	მიზანი/თემისი - კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1	
2	რეფერატის ორგანიზება	1	
3	შინაარსის კორექტურობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2	
4	ენობრივი გამართულობა	1	
5	კვლევა	2	
6	ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები	1	
7	შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1	
8	დასკვნები	1	
	ჯამი	10	

#### 3.2. რეფერატის შეფასების სქემა

1.

<p>მიზანი/თემისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება</p>	<p>0-1</p>	<p><b>0 ქულა</b> - კვლევის მიზანი არ არის განსაზღვრული / მართებულად არ არის კვლევის მიზანი განსაზღვრული</p>	<p>–</p>	<p><b>1 ქულა</b> - შესავალში, შერჩეულ თემასთან მიმართებაში, მკაფიოდაა წარმოდგენილი ის კითხვები, რომლებზეც არის რეფერატში პასუხი გაცემული</p>
<p>რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი</p>	<p>0-1</p>	<p><b>0 ქულა</b> - არაა გამოკვეთილი რესურსები, რის საფუძველზეც შესრულდა რეფერატი, ნაშრომს არ აქვს სტრუქტურა, რეფერატს არ აქვს ადექვატური ბიბლიოგრაფია</p>	<p>–</p>	<p><b>1 ქულა</b> - კარგად ჩანს რა ბაზაზე შეასრულა მოსწავლემ რეფერატი; შემოთავაზებული ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ნაშრომებითაა დაკომპლექტებული</p>
<p>შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი სანიმუშობა</p>	<p>0-2</p>	<p><b>0 ქულა</b> - მოდიებული მასალა ძალიან მწირია, არ იცნობს პირველად წყაროებს, მეორადი წყაროებიც არაა დამუშავებული.</p>	<p><b>1 ქულა</b> - მოდიებული მასალა შეიცავს პირველად და მეორად წყაროებს, თუმცა წარმოდგენილი წყაროები ბედაპირულადაა დამუშავებული, ანუ მოსწავლე მხოლოდ ნაწილობრივად</p>	<p><b>2 ქულა</b> - იცნობს პირველად და მეორად წყაროებს, მოხმობილი ფაქტები სანდოა, რადგან მართებულად ხდება წყაროს ამოკითხვა; პირველადი და მეორადი წყაროები სათანადოდაა დამუშავებული, მოსწავლე ავლენს კრიტიკული დამოკიდებულებას წყაროსადმი</p>

			გაიაზრებს მასალას	
ენობრივი გამართულობა	0-1	<b>0 ქულა</b> - ენა გაუმართავია, აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული	–	<b>1 ქულა</b> - ენა ნათელი და გასაგებია, მსჯელობა თანამიმდევრული
კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)	0-2	<b>0 ქულა</b> - მოსწავლეს არ გააჩნია პოზიცია თემასთან მიმართებაში, მისი რეფერატი ორიგინალური ნაშრომის შთაბეჭდილებას არ ტოვებს; მოსწავლე არ ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, შეიმჩნევა პლაგიატობა	<b>1 ქულა</b> - მოსწავლე ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, თუმცა უჭირს წყაროებში ფაქტებისა და ვარაუდების გარჩევა, შესაბამისად მის მიერ გამოთქმული მოტივი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია	<b>2 ქულა</b> - მოსწავლე დამაჯერებლად განასხვავებს ფაქტსა და ვარაუდს ერთმანეთისაგან, სათანადოდ ამუშავებს პირველად და მეორად წყაროებს, მათი განალიზების საფუძველზე გამოთქვამს სათანადო ვარაუდებს, თანამიმდევრულად დალა-გებული მასალის საფუძველზე ახერხებს თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემას
ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები <sup>1</sup>	0-1	–	–	–
შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	0-2	<b>0 ქულა</b> - არ აქვს საკუთარი პოზიცია	<b>1 ქულა</b> - ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან	<b>2 ქულა</b> - ავლენს საგნის კარგ ცოდნას, დამუშავებული მა-სალის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ

<sup>1</sup> რიგ საგნებში შესაძლოა მე-6 კრიტერიუმი არ გავითვალისწინოთ. ასეთ შემთხვევაში მე-7 კრიტერიუმი შეფასდება მაქსიმალური 2 ქულით.

			მიმართებაში, თუმცა საკუთარ პოზიციის დაცვა უჭირს.	პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორიტეტებს.
8. დასკვნები	0-1	0 ქულა - რეფერაგში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია		1 ქულა - აჯამებს კვლევის შედეგებს, კარგად ახერხებს ამის მკითხველამდე მიგანას.

#### ნიმუში N 4

#### დისკუსიის შეფასების სქემა

	(8-10 ქულა)	(5-7 ქულა)	(1-4 ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორაგორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორაგორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორაგორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ქეცებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს

<b>მონაწილეობა</b>	უზენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
<b>კოოპერაცია</b>	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
<b>მოსაზრების არგუმენტირება</b>	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

**ნიმუში N5 უცხოური ენის, ქართულ ენისა და ლიტერატურის ზეპირმეტყველების შეფასების სქემა**

	<b>ქულები</b>
<b>პირობასთან შესაბამისობა</b>	
იცავს დროის ლიმიტს	<b>0 - 1</b>
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	<b>0 - 0, 5 - 1</b>
<b>კომუნიკაციური უნარ-ჩვევები</b>	

გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1- 2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1
<b>ენობრივი უნარ-ჩვევები</b>	
ადეკვატურად იყენებს მეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არაფერბალურ საშუალებებს (მაგ., ეესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა ღონეს და ა.შ.)	0-1
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს	0 - 1
<b>შემოქმედებითი უნარ-ჩვევები</b>	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1
<b>ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10</b> <b>(ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)</b>	

ნიმუში N 6 უცხოური ენისა, ქართულ ენასა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

კრიტერიუმების ბაღე შემაჯამებელი წერითი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს სიტყვების რაოდენობის ქველა ზღვარს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მთხონენებს	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციებს	0 - 1 - 2
გამოხატავს პერსონაჟის დამოკიდებულებას, ემოციას	0 - 1

ენობრივი უნარ-ჩვევები	
სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს	0 - 1 - 2
იყენებს ნასწავლ ლექსიკას / აქვს სათანადო ლექსიკური მარაგი	0 - 1 - 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ენობრივი თვალსაზრისით, იჩენს გაბედულებას, ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10	

## ნიმუში N 7

### მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

#### მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
ამოცანები, რომლებიც მათემატიკური აპარატის გამოყენებას მოითხოვს	მოყვანილია რამდენიმე ძირითადი ფორმულა ამოცანების ამოხსნის გარეშე	ამოხსნილი ერთი ამოცანა	ამოხსნილია ნაწილი ამოცანების ან ყველა ამოცანა ამოხსნილია არასრულად	ამოხსნილია ყველა ამოცანა

ფასდება მიღებული ცოლნის შეჯამების, ანალიზის და დასკვნების გამოგანის უნარი, წერითი უნარ-ჩვევები, დროის ლიმიტის უნარი.

## ნიმუში N8

**8.1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი ღვაწლების შეფასების სქემა**

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება					
თარიღი:                    სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა:					
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				შემაჯამებელი ქულა
	ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)	მასალის, გეჟნიკის და მხატვრულ-გამომსხვე ლობითი საშუალებების ფლობა	შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს გეჟნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახ ველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად	თანამშრომ- ლობა ჯგუფური მუშაობის დროს	<b>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10</b>
	<b>0-1</b>	<b>0- 3</b>	<b>0- 4</b>	<b>0-2</b>	
1.					
2.					
3.					
4.					
5					
6.					



	კომპოზიცია	ფორმა/ მოცულობა	ფერი	ფაქტურა	სივრცე	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
	რამდენად ახერხებს დასახაგი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (კომპოზიციური ბალანსის დაცვას და ა.შ.) და ურთიერთ თანაფარდობის გადმოცემას	რამდენად იცავს საგნის პროპორციებს და რამდენად ახერხებს მათი მოცულობის გადმოცემას შუქ-ჩრდილის საშუალებით	რამდენად შეესაგყვისება ფერთა გამა დასახაგ ობიექტებს, ან რამდენად შემოქმედებითა დ არის გადაწყვეტილი ფერის ამოცანა ნამუშევარში	რამდენად ახერხებს დასახაგი ობიექტების (საგნების, ღრუბრების (ქსოვილის)) ფაქტურის გადმოცემას	რამდენად ახერხებს სივრცის ეფექტის შექმნას (წინა პლანი, შუა პლანი, უკანა პლანი (ფონი))	
	<b>0-2</b>	<b>0-2</b>	<b>0-2</b>	<b>0-2</b>	<b>0-2</b>	
1.						
2.						
3.						
4.						
5						
6.						
7.						

7. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

3. მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ქულა: ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა (მაგ. მათემატიკა მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-10 კლასი, ქართული მე-11 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

## 8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
2. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების აგესტაგის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
3. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას სკოლის გამოსაშვებ გამოცდამზე გასვლის უფლებას.

## 9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის, აბიგურის საათის და ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
3. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მეკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
4. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

## 10. გამოცდის გიპები

2022-2023 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში შესაძლებელია ჩაგარდეს შემდეგი გიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;

- ექსტერნაგის ფორმით დაძლევის გამოცდა.
- 

### 10.1 სემესტრული გამოცდა

სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ნიშნის გაუმჯობესება სურს. როდესაც მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექციას. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშანს და ჯამი იყოფა ორზე.

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

### 102 საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა უნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში.

2. საშემოდგომო გამოცდა გარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე წერილობითი ტესტირების ფორმით.
3. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
4. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

#### **10.4 ექსტერნატის ფორმით გამოცდა**

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.
2. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძღვევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების აგესტაგის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

#### **10.5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება**

სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება. სსსმ მოსწავლესთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ფასდება მოსწავლის მიერ მოდიფიცირებული სასწავლო

გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ღონე. მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს მოლიფიცირებულ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

## **ინკლუზიური განათლება**

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანაგოლებთან ერთად.

## **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე**

**1.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანაგოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოლიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

**2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:**

ა) ფიზიკური დარღვევა;

ბ) ინტელექტუალური დარღვევა;

გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

დ) მეტყველების დარღვევა;

ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ზ) სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე (ფიზიკური, ინტელექტუალური, ქცევითი და ა.შ). მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

სსიპ ობურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლას ჰყავს 5 სსსმ მოსწავლე, რომელთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დანართის სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

### **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

**1.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

3. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს/განისაზღვროს:

ა) რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრება სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიგარი, ძიძა) საჭიროება;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერით სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.).

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით;

5. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი). თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად საშუალო ჯგუფი (შემდგომში - ისე ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

6. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, თუკი სკოლას ჰყავს ასეთი;
7. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფის კოორდინატორი მიზანშეწონილია იყოს სსსმ მოსწავლის დამრიგებელი;
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩაგარდეს ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესაგანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს;
9. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
11. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესაგანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

### **სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები**

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური, საერთო წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ამ გეგმის მე-20 მუხლის შესაბამისად.

3. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ გეგმის 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალის ადაპტირება - უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

## სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინ სწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. შინ სწავლების პროცესში ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება, თუკი სკოლას ამის შესაძლებლობა აქვს, ეფექტურია ღროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით. ვიდეოკონფერენციის გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება; გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზე პასუხისმგებელი და ა.შ.

6. მინიმალური დაგვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასგრონომიული) საათები კვირის მანძილზე	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

### თავი VII. საგაკვეთილო ცხრილი

საგაკვეთილო ცხრილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების მიხედვით ცალკე მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს.

### თავი VIII. სადამრიგებლო პროგრამა

## სადამრიგებლო პროგრამა

### კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზანი

დამრიგებელი მოსწავლის მრჩეველად მოიაზრება. მისი მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

### კლასის დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებელს ევალება:

1. წლიური სადამრიგებლო სამუშაო გეგმის შედგენა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან შეთანხმება;
2. სადამრიგებლო ე.წ. „კლასის საათის“ საჭიროებისამებრ (კვირაში მინიმუმ ერთხელ) ჩაგარება;
3. მოსწავლის დახმარება აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში;
4. მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შუამავლობა პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
5. მშობლებისათვის შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების გაცნობა თვეში მინიმუმ ერთხელ; სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება;
6. სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;

7. სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მისი მიმღები სკოლისათვის მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

8. ასევე ამ გეგმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება. კერძოდ,

ა) დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს უნდა აცნობდეს. (დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი).

ბ) თუ მოსწავლე სკოლას აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, გაიგოს გაცდენის მიზეზი, აცნობოს სკოლის დირექციას და საკითხთან დაკავშირებით შეასრულოს მისი ვალდებულებები;

გ) დამრიგებელი პერიოდულად უნდა ეკითხებოდეს საგნის მასწავლებლებს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატებების შესახებ. სასწავლო წლის დასრულებისას მან უნდა გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, რის საფუძველზეც

დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:

მოსწავლის ძლიერ მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში.

მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო წლიური ნიშანი 5-ზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია K2 მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა.

დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.

დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. ალბრდის მთლიანობა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მთავარი პრინციპი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;
2. შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა - ყველა ბავშვი უნიკალურია. ისინი დაჯილდოებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
3. მოსწავლეთა ჩართულობა - ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (სასკოლო ოლიმპიადები, ბეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. ამგვარი ჩართულობა მოსწავლეებს გამოუმუშავებს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებლად მოაგვარონ ცხოვრებაში წამოჭრილი სირთულეები და ხელს შეუწყობს თავისუფალი პიროვნების ფორმირებას;
- 4 თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. დამრიგებლის მუშაობის მიზანი უნდა იყოს კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა.

რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელებისათვის

დამრიგებლის კლასთან მუშაობა, სასურველია, შემდეგი ფორმით მიმდინარეობდეს:

საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიქტორინების, ბეიმების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება, ცნობილ ადამიანებთან და, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა.

დამრიგებლებმა ყველაზე უკეთ იციან კლასის საჭიროებები და სწორედ აქედან გამომდინარე გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს. შეხვედრებს სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი, სულ მცირე კვირაში ერთხელ. დამრიგებელი უნდა თანამშრომლობდეს

მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, ხელს უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ თუ გასართობ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ., ბიბლიოთეკებთან, თეატრებთან) ურთიერთობის დამყარებას.

სადამრიგებლო საათის თემები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. პიროვნული და მორალური განვითარება - მე - პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, გოლერანგობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეგიკეტი;
2. გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება - გარემოს მნიშვნელობის გაცნობა, გარემოს და ბუნების მოფრთხილება;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია - პირადი ჰიგიენა, ავადმყოფობის გავრცელების წყაროები, სასარგებლო საკვები, დროის ორგანიზება, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მანე ჩვევების საფრთხე,
4. უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
5. მოქალაქეობრივ - პაგრიოტული ცნობიერება - ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი/სოფელი, ჩემი სამშობლო, ისტორია, გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, გრადიციები, წესები და კანონები;
6. თვალსაწიერის გაფართოება - ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა.

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პაგივისციემის აგმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებელი ვალდებულია კლასის მოსწავლეებთან ჩააგაროს შემდეგი სამუშაოები: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, საუბრები, დისკუსიები, ვიქტორინები, ზეიმები, ექსკურსიები, ლაშქრობები; მოსწავლეებისათვის შეხვედრების მოწყობა ცნობილ ადამიანებთან პოეტებთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან.

კლასის დამრიგებელი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, ხელს უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ.: ბიბლიოთეკებთან, მუზეუმებთან და სხვ.) ურთიერთობის დამყარებას.

I-IV კლასებში დამრიგებელი ვალდებულია არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩააგაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- გ) ანალიზის უნარის განვითარებით;
- დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ე) პრემენგაციის უნარის განვითარებით;
- ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

დამრიგებელი ..... ----- 2020წელი

მოსწავლის სახელი და გვარი .....

კლასი -----

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების შეფასების ცხრილი

1. პასუხისმგებლობა სისტემატიურად ასრულებს დავალებებს არასოდეს ავიწყდება სასწავლო ნივთები. არ აცდენს, არ აგვიანებს იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავისსა და სხვის უფლებებს
2. თანამშრომლობა მრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს მეგობრულია და კომუნიკაბელური
3. კრიტიკული აზროვნება მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ბევრ კითხვას სვამს, მაძიებელია აქვს საინტერესო იდეები
4. ცოდნის გამოყენება ახარისხებს საჭიროების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას კონკრეტულ საკითხთან ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, აგარებს ექსპერიმენტს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს
5. საპრეზენტაციო უნარები ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან იყენებს თვალსაჩინოებებს და გეჟნიკურ საშუალებებს იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების უნარებს
6. შემოქმედებითობა აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები აანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის შექმნა

7. ლოგიკური აზროვნება შეუძლია მიღებული შდეგების განზოგადება, კავშირის დამყარება სხვა სტრუქტურებთან ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო ალგორითმის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტურობის დასაბუთებას ახერხებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას, აღგენს კავშირებს და მიმართებებს, აყალიბებს ანალოგიებს, ახდენს საკითხის არსის წარმოჩენას

თითოეული კომპონენტი ფასდება სამი ქულით: 3 - მკაფიოდ გამოხატული თვისება ან უნარი

2 - ნაკლებად გამოხატული თვისება ან უნარი

1 - სუსტად გამოხატული თვისება ან უნარი

ჯამური ქულა \_\_\_\_\_

ანალიზი.....  
.....  
.....

რეკომენდაცია

1) .....  
.....  
.....  
.....

დამრიგებელი .....

დირექტორის მოადგილე .....

მშობელი .....

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების დაბალი შეფასებისას (21-დან 25 ქულამდე) დამრიგებელი ვალდებულია მშობელს შეაგყობინოს არსებული მდგომარეობა და აქტიურად ჩააბას შეილის განვითარებაში.

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის ექვსი საგნობრივი კათედრა: (კათედრების რაოდენობა განსაზღვრეთ ინდივიდუალურად)

1. ქართული ენის კათედრა
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
3. უცხოურ ენათა კათედრა;
4. დაწყებითი საფეხურის კათედრა;
5. ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.
6. მათემატიკის კათედრა
7. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ეს კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს.

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი ღვაწლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი ღვაწლები; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს ღვაწლები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები;
- ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- სახელმძღვანელოების შერჩევა;
- შეფასების კომპონენტების შემადგენელი კრიტერიუმების შემუშავება და აღწერა;
- სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება (მაგ. ისტორიასა და ქართულში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო ღვაწლების მოფიქრება და სხვა.);
- მრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;
- რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, დაცვა და შესრულება. მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და შეფასება;
- სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება რომლებიც გააერთიანებს სხვადასხვა კლასის, ჯგუფების და განაყოფების მოსწავლეებს.
- უზრუნველყოს მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში.
- შემაჯამებელი ღვაწლების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.

კათედრის წევრებიდან ერთი სასწავლო წლის ვადით ირჩევა კათედრის თავმჯდომარე. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ☛ კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- ☛ კათედრის სამუშაო წლიური გეგმის შედგენა;
- ☛ საგნობრივი ჯგუფის გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. სახელმძღვანელოების შერჩევის თაობაზე);
- ☛ პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, გრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრის პირველ სხდომაზე, მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი პროგრამებისა და შესაბამისად არჩეული გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების განხილვა. განიხილება ასევე თუ რა საჭიროებები ექნებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში; რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტურად სწავლებისათვის და ა.შ.

ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე ხდება განხილვა საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობის. ამ დროს ხდება პრობლემის გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა. საჭიროების შემთხვევაში იწერება რეკომენდაციები სკოლის სასწავლო გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ.